



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი

14. 02. 2020 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მდივანი კახაბერ ასკურავა (საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მედიის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ივანე ხოფერიას ქუჩისთვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

6. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი მამუკა ვადაჭკორია/

7. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 28 თებერვალი, 11:00 საათი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყეზიამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის

გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N6 დადგენილება. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას თქმით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.
- 3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ზესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებია. მან

განმარტა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა ზემოთაღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტები. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 თებერვლის N4 დადგენილება. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა როგორც დასახელებული დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების პროექტი, ისე შესაბამისი დადგენილების პროექტი. მან აქვე განმარტა, რომ პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით, გააჩნია 27.06.51.334; 27.06.56.072.01/502; 27.06.56.072.01/501 საკადასტრო კოდეზზე არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ნოე ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ტროტუარი), ქ. ლანჩხუთში, მდინარაბის ქ. N2-ში მდებარე 520 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პირველი სართულის 229.57 კვ.მ. და მე-2 სართულის 294.52 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართები. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ლაშა დუდუჩავას 2020 წლის 8 იანვრის N2 მომართვასა და მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას მიმდინარე წლის 8 იანვრის N12 მოხსენებით ბარათში ასახული განმარტებით ზემოაღნიშნული უძრავი ქონება არ გამოიყენება საჯარო ფუნქციის შესასრულებლად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების განკარგვა-გასხვისება დაუშვებელია, მაგრამ ვინაიდან ზემოაღნიშნულ ქონებას დაკარგული აქვს თავისი ფუნქციური დანიშნულება, შესაძლებელია ვიხელმძღვანელოთ ამავე კანონის 121-ე მუხლით, სადაც გაწერილია, რომ მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონების განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს განკარგულებას სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიათ თხოვნით მიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომ განიხილონ და მიიღონ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ზემოაღნიშნული ძირითადი ქონების განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემას. მან აქვე განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, პირიქით გამოიწვევს მუნიციპალური შემოსავლების ზრდას.

საკრებულოს წევრის **კახაბერ ასკურავას** თქმით ქ. ლანჩხუთში, ნოე ჟორდანიას ქუჩაზე 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ტროტუარი) ტრანსფორმატორის დამონტაჟება არ არის მიზანშეწონილი, რადგან მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ უბანში, სპორტული სკოლის მიმდებარედ, რომელიც ამორტიზირებულია და შემდგომში, ინვესტორის არსებობის შემთხვევაში, ტრანსფორმატორის არსებობამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს ახალი სპორტული ცენტრის აშენებას.

საკრებულოს უმრავლესობის წევრებმაც გამოთქვეს მოსაზრება, რომ მოწვეული იქნას კომპეტენტური პირები, რათა განიხილონ აღნიშნული საკითხი დეტალურად და შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.
- 3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2019 წლის 13 სექტემბრის NLA 6 19 00024306 წერილით, მომართა სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-ს (ს/ნ 204534058) დირექტორმა

რაჟდენ კუპრაშვილმა, რომელმაც საკონსულტაციო ცენტრის მოსაწყობად, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.011) პირველ სართულზე არსებული 13.34 კვ.მ. N16 ფართი) სარგებლობის უფლებით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა). მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ თხოვნით მიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განიხილონ მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მისცენ თანხმობა. მან ასევე განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.
- 3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ივანე ხოფერიას ქუჩისთვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ**. მან განმარტა, რომ 2019 წლის 27 აგვისტოს ლანჩუთის მერიას თხოვნით მომართა მოქალაქე თინათინ ხოფერიამ. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მისი მამა გახლდათ ონოფრე ხოფერია, მაგრამ მოიხსენიებდნენ, როგორც ვანოს, ზემოთხსენებული ქუჩის სახელდების დროს მოხდა შეცდომა -სახელწოდების დამახინჯება და ქუჩას დაერქვა ივანე ხოფერიას ქუჩა. თინათინ ხოფერიას თხოვნაა, ქუჩას გადაერქვას სახელი და ეწოდოს ონოფრე ხოფერიას ქუჩა. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის N178 დადგენილების შესაბამისად, მიმართა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, აღნიშნული საკითხის შესწავლის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისა და თანხმობის მიღების მიზნით, რომ, ივანე ხოფერიას ქუჩას (N3) გადაერქვას სახელი და ეწოდოს ონოფრე ხოფერიას ქუჩა. გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2019 წლის 4 ნოემბრის N18 სხდომის ოქმით ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიეცა თანხმობა, საკრებულოს მიერ საარქივო მასალებზე დაყრდნობით ორი პიროვნების- ივანე ხოფერიას და ონოფრე ხოფერიას იგივეობის დადასტურების შემთხვევაში, სოფელ გვიმბალაურში ივანე ხოფერიას ქუჩის გადარქმევისა და მისთვის ონოფრე ხოფერიას სახელის მინიჭებაზე. გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა იურიდიული სამსახურის მიმართვის საფუძველზე წარმოადგინა გამოკითხვის აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ ონოფრე ხოფერიას მეზობლები და ახლობლები იცნობდნენ და ემახდნენ ივანე (ვანო) ხოფერიას.

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების თანახმად, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ივანე ხოფერიას სახელობის ქუჩას გადაერქვას სახელი და ეწოდოს ონოფრე ხოფერიას სახელობის ქუჩა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ივანე ხოფერიას ქუჩისთვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, სოციალურ საკითხთა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან განმარტა, რომ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, „შიდა აუდიტორს უფლება არა აქვს, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა ამ კანონით და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფუნქციებისა“; „შიდა აუდიტორი არ მონაწილეობს შიდა აუდიტორულ შემოწმებაში, თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, კერძოდ, შიდა აუდიტორი შესამოწმებელ პერიოდში მუშაობდა შიდა აუდიტის ობიექტში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, იმისთვის რომ არ დაირღვეს სამსახურის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპი, მიზანშეწონილია „მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის“ და „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის მიზნით შესაქმნელი კომისიების შემადგენლობიდან ამოღებული იქნას მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

7. სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრის **კახაბერ ასკურავას** თქმით კარგია, რომ სოფელ ჩანჩეთში, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზა ასფალტირებულია, მაგრამ გასაკეთებელია ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საგამოფენო დარბაზი, რადგან სავალალო მდგომარეობაშია ამ მუზეუმში განთავსებული სერიოზული, ძვირადღირებული ექსპონატები, რომლებიც უწყურადღებობის შემთხვევაში განადგურდება. მან იქვე დასძინა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა აღემატება მუნიციპალიტეტის ფინანსურ შესაძლებლობებს და მის მოსაგვარებლად კარგი იქნება, თუ თხოვნით მიმართავენ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“, ან კულტურის სამინისტროს, რომელიც გადაწყვეტს ახალი საგამოფენო დარბაზი გაკეთდეს თუ ექსპონატები გადაიტანონ შესაბამის ადგილზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაწყებულია მუშაობა. 2018 წელს გამზადებული იქნა ახალი საგამოფენო დარბაზის პროექტი, მოწვეული იყო წარმომადგენელი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოდან, რომელმაც დაათვალიერა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუზეუმი, გაეცნო არსებულ სიტუაციას და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დარბაზის გასაკეთებლად საჭიროა ახალი პროექტის მომზადება, რომელსაც დაახლოებით 70 000 ლარი დასჭირდება, მაგრამ ამ ეტაპზე პროცესი შეჩერებულია და აუცილებელია განახლება.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დასკვნა არის საკმაოდ მძიმე და მიმართა მუნიციპალიტეტის მერს

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსებთან ერთად მოკლე დროში, ნებისმიერ ფორმატში გააკეთონ ახსნა-განმარტება ამ დასკვნასთან დაკავშირებით, რასაც დაეთანხმნენ უმრავლესობის წევრები და მუნიციპალიტეტის მერი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ არ ეთანხმება აუდიტის დასკვნას მუზეუმების შესახებ და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებზე დახარჯული თანხების მიზანმიმართულობასთან დაკავშირებით ნაწილში.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ** ტანვარჯიშის დარბაზის გახსნის გამო მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და იმედი გამოთქვა, რომ შემდგომშიც დაეხმარება მათ დარბაზის ინვენტარით აღჭურვაში.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ბათუმში იხსნება ტანვარჯიშის დარბაზი, რომელიც აღიჭურვება ახალი ინვენტარით, ხოლო ძველი ინვენტარიდან, რომელიც კარგ მდგომარეობაში იქნება, გადმოსცემენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო